თანამშრომლობის მემორანდუმი

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტსა

და

სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტს

შორის

ქ. ბათუმი ---- **ნოემბერი, 2024 წელი**

ერთი მხრივ **საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი** (შემდგომში „ბსუ“), წარმოდგენილი რექტორის მოვალეობის შემსრულებლის, პროფესორ მერაბ ხალვაშის მიერ და მეორე მხრივ **სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი** (შემდგომში „ბხსუ“) წარმოდგენილი რექტორის, პროფესორ თეიმურაზ კეჟერაძის მიერ (შემდგომში „მხარეები“), თანხმდებიან ურთიერთთანამშრომლობის შემდეგ პირობებზე:

1. მემორანდუმის საგანი

წინამდებარე მემორანდუმის საგანია მხარეებს შორის ურთიერთგაგებისა და პატივისცემის პრინციპებზე დაფუძნებული აკადემიური და სამეცნიერო-კვლევითი ხასიათის ურთიერთანამშრომლობა და ბსუ-ს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „პროფესიული და უწყვეტი განათლება“ (შემდგომში „პროგრამის“) განხორციელების ხელშეწყობა.

2. მემორანდუმის მიზანი, ამოცანები და მხარეთა უფლება-მოვალეობები

2.1 მხარეთა ურთიერთთანამშრომლობის მიზნებია:

ა) პროფესიული პრაქტიკის განხორციელება - მხარეებს შორის შეთანხმებული კონტინგენტის (ერთდროულად არაუმეტეს 10 სტუდენტისა) ფარგლებში მხარეთა შორის თანამშრომლობა და სტუდენტთა მიერ პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკის კომპონენტის (პროფესიული პრაქტიკა - 6 კრედიტი და სასწავლო კურსებში ინტეგრირებული პრაქტიკული კომპონენტი) გავლა;

ბ) პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული კვლევების (ეთიკური ნორმების დაცვით) განხორციელების ხელშეწყობა.

2.2 სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი და ტრანსფერული უნარების ჩამოყალიბების მიზნით მხარეები მონაწილეობას მიიღებენ პროგრამის შემუშავებაში (ინფორმაციის გაცვლა, მეთოდური დახმარება).

2.3 მემორანდუმის ამოცანებია:

ა) სასწავლო და კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით მხარეებმა მოაწყონ ერთობლივი სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციები, სემინარები, ტრენინგები და სამუშაო შეხვედრები განათლების სფეროს თანამედროვე პრობლემებსა და პროფესიული და უწყვეტი განათლების საკითხებზე;

ბ) დაიგეგმოს თანამშრომლობის კონკრეტული ფორმების რეალიზაციისთვის აუცილებელი ინფორმაციის ურთიერთგაცვლა;

გ) მოხდეს საგანმანათლებლო, სამეცნიერო და მეთოდოლოგიური ლიტერატურის გაცვლა/გაზიარება;

დ) საჭიროების შემთხვევაში მხარეებმა ისარგებლონ ისარგებლონ ერთმანეთის მატერიალური და საგანმანათლებლო რესურსით;

ე) უზრუნველყოფილი იქნას პრაქტიკის კომპონენტისა და კვლევის შედეგების გაზიარება-გაცნობა.

3. მემორანდუმის ვადა და დასკვნითი დებულებები

3.1 მემორანდუმით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხები უნდა გადაწყდეს მხარეთა შეთანხმებით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

3.2 დაუშვებელია წინამდებარე მემორანდუმის რომელიმე დებულების შეცვლა, მოდიფიცირება, უარყოფა, გაუქმება ან შეწყვეტა მხარეთა წერილობითი თანხმობის გარეშე.

3.3 წინამდებარე მემორანდუმის რომელიმე დებულება თუ მიიჩნევა ძალადაკარგულად, ეს გავლენას არ იქონიებს მემორანდუმის, როგორც მთლიანის, იურიდიულ ძალასა და კანონიერებაზე.

3.4 წინამდებარე მემორანდუმი შედგენილია ქართულ ენაზე თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, რომელთა თითო პირი ინახება მხარეებთან.

3.5 წინამდებარე მემორანდუმით გაუთვალისწინებელი გარემოებების შემთხვევაში მხარეები ხელმძღვანელობენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით

3.6 მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს ხუთი წლის ვადით.

3.7 მხარეთა რეკვიზიტები და საკონტაქტო ინფორმაცია:

საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
საიდენტიფიკაციო კოდი: 245428158
მისამართი: 35/32 ნინოშვილის/რუსთაველის ქუჩა,
ბათუმი
ელ. ფოსტა: info@bsu.edu.ge

სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო
უნივერსიტეტი
საიდენტიფიკაციო კოდი: 245628496
მისამართი: ბათუმი, ზურაბ
გორგილაძის/ვაჟა ფშაველას ქ. №19/32
ელ. ფოსტა: info@batu.edu.ge

პროფ. მერაბ ხალვაში, რექტორის მოვალეობის
შემსრულებელი

პროფ. თეიმურაზ კეჟერაძე, რექტორი